

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №6

დ. ლენტეხი

4.11.2010წ.

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე ვ. ქურასბედიანი, დეპუტატები: ა. ქურასბედიანი, ი. ლიპარტელიანი, მ. მუკბანიანი, ს. ლიპარტელიანი, ე. გველეზიანი, ა. ონიანი და თ. გუგავა.

ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ ვ. ქურასბედიანმა დღის 12-საათზე. ბიუროს სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საკრებულოს აპარატის უფროსს მანანა ჩანქსელიანს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვ. ქურასბედიანი/

2. მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის დაწესების შესახებ.

/მომხსენებელი: მ. მუკბანიანი/

3. შემოქმედებითი კულტურის ცენტრის 2010 წ. მუნიციპალური გეგმა - პროგრამის დამტკიცებ.

/მომხსენებელი: ს. ლიპარტელიანი/

4. ქ. ბათუმში რესპუბლიკური კონკურსის „ჩემი ხატია სამშობლო“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ლენტეხის №1 საჯარო სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიული ანსამბლ „ცერულასთვის“ სამგზავროდ საწვავის 300 ლიტრა დიზელის საწვავის გამოყოფის შესახებ.

/მომხსენებელი: ს. ლიპარტელიანი/

5. ლათქორია-ზაინაკარის გზის აღსადგენად 600ლ (დიზელის) საწვავის გამოყოფის შესახებ.

/მომხს. მ. მუკბანიანი/

6. ლენტეხი- მელეს მიმართულებით სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ.

/მომხს. ე. გველებიანი/

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ზოგიერთი საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ თანხების განაწილების შესახებ.

/ მომხ: ვ. ქურასბედიანი/

დღის წესრიგის დასამტკიცებლად ჩატარდა კენჭისყრა:

მომხრე – 7

წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო პროექტი „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 7

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

(დადგენილება №24 პროექტი თან

ერთვის)

2. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარემ მ. მუკბანიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის დაწესების შესახებ“.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე- 7

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

(დადგენილება №25- ის პროექტი თან ერთვის)

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ს. ლიპარტელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი – შემოქმედებითი კულტურის ცენტრის 2010 წ. მუნიციპალური გეგმა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ ვ. ქურასბედიანმა – აღნიშნული პროექტი უნდა დამტკიცებულიყო წლის დასაწყისში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო გადაიდო დღემდე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე- 7
წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

(განკარგულება №43 –ის პროექტი თან ერთვის)

4. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ს. ლიპარტელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო ლენტეხის №1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფის რობიკო ბენდელიანის განცხადება. განცხადების თანახმად ქ. ბათუმში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონკურსში „ჩემი ხატია სამშობლო“ მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ცერულამ“, ტრანსპორტისათვის აუცილებელი იყო საწვავი 300 ლიტრის ოდენობით. ქორეოგრაფი რობიკო ბენდელიანი ადგილობრივი მმართველობისგან ითხოვს ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი 300 ლიტრი საწვავით დახმარებას.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:
მომხრე – 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: აღნიშნული განცხადება განსახილველად გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მ. მუკბანიანმა წევრებს გააცნო საკითხი – ხანგრძლივი წვიმების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ლათქორია – ზაინაკარის გზის 300

მეტრიანი გზის მონაკვეთი. ადგილობრივი მოსახლეობა თხოულობს გზის აღსადგენად აუცილებელი 600 ლიტრი საწვავით დახმარებას.

აზრი გამოთქვა: ვ. ქურასბედიანმა- აღნიშნული გზის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების არჩატარება საზამთრო პრობლემებს შეუქმნის რაიონის მოსახლეობას.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე- 7

წინააღმდეგი-0/

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი განსახ

6. მოისმინეს: საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავ-რემ ე. გველებიანმა სხდომის წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა ლაშხეთის და ჩოლურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების თაობაზე, რომლებიც ითხოვენ პარასკევ დღეს მეღვ- ლენტეხის მიმართულებით ავტობუსის რეისის დამატებას. კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული განცხადების დადებითად გადაწყვეტა.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ – საკითხი უნდა გადაწყდეს რაიონის ტრანსპორტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ამიტომ აღნიშნული საკითხი განსახილველად გადავიტანოთ მორიგ სხდომაზე.

7. მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ე. გველებიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ზოგიერთი საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ თანხის გამოყოფის შესახებ:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1204 განკარგულების საფუძველზე, საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „ საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულს გამოეყო 95000ლარი, რომელიც განაწილდა ექვს საჯარო სკოლაზე.

განკარგულების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა კენჭისყრა:

მომხრე- 13

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

(განკარგულება №46) თან ერთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის წევრები გადავიდნენ ჩოლურის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ დასმულ საკითხების განხილვაზე.

8. მოისმინეს: საკრებულოს დეპუტატმა ს. მუკბანიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხები- ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესიის გამაგრების და თეკალის, შტვილის,ბულეში, მამის, ლეუშერის, მებეცის, ნაკიშერის, ლეკოსანდის და ცხენთაშის კოშკების კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ-აღნიშნულ საკითხების დადებითად გადაწყვეტის მიზნით გააკეთდა წერილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან- ნიკოლოზ ვაჩიშვილთან.

(წერილი თან ერთვის)

9. ჩოლურის ტერიტორიულ ერთეულზე ყოფილი საბჭოს შენობა თხოულობს აუცილებელ რემონტს - საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენობა ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს, წერილი შენობის გადმოცემის შესახებ გაგზავნილია და გადმოცემის შემდეგ შნობისმ რემონტის საკითხი განიხილება ხელმეორედ.

10. ტვიბის მინერალური წყლის გამოყვანასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მინერალური წყლის გაბურღვა დაკავშირებულია დიდ თანხებთან, ამიტომ ეს საკითხი უნდა იქნეს გათვალისწინებული სოფლის პროგრამაში და ნაწილობრივ ადგილობრივ ბიუჯეტში.

10. სოფელ მუწდიში გზის გაწმენდა – აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

11. მოისმინეს: ადგილობრივმა მკვიდრმა ფავრიზ მუკბანიანმა დააყენა საკითხი სამგზავრო ტარიფების დაზუსტების შესახებ. მგზავრებისთვის გაურკვეველია, თუ რამდენია სამგზავრო ტარიფი ჩოლურამდე, ამიტომ იხდიან ლაშხეთამდე დადგენილ ტარიფს.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ – ტარიფების დადგენა დაევალება ტრანსპორტის ხელმძღვანელს ზვიდი ლიპარტელიანს, ამავე დროს დადგენილი ტარიფები უნდა გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი ინფორმაცია.

12. სოფ. ჭველიერის წყალსადენის სათავე ნაგებობის და შიდა ქსელის რემონტზე- აღინიშნა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება საინვენსტიციო პროგრამაში.

13. ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესიაზე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-სხდომის წევრებმა-მიიღეს გადაწყვეტილება, გამოინახოს თანხა საკითხის გადასაწყვეტად.

საკრებულოს სხდომა დამთავრდა დღის 18 საათზე.

დენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავ-რე:

/ვ. ქურასბედიანი/